

გვართა პარიანტულობა მე-19 საუკუნის მუსხათში

1891 წელს არის დაწერილი ივანე გვარამაძის „ვინმე მესხის ცხოვრება“, რომლის სრული სათაური ასეთია: „ვინმე მესხის ცხოვრება დაწერილი 1891 წელს ქ. ახალციხეს“. მეორე გვერდზე კი ავტორს დაუსათაურებია: „ვინმე მესხის მოკლე ცხოვრება“. მისი საფონდო ნომერია 209. ეს მოკლე ცხოვრება ვულისხმობს დაბადებიდან 1868 წლამდე პერიოდს. იმდენად მნიშვნელოვანი იყო ივ. გვარამაძისათვის მღვდლობის უფლების მოპოვება, რომ ამით დაუმთავრებია კიდევ თავისი ცხოვრების პირველი და უმთავრესი ეტაპი. საამისოდ ბევრი რამ გადახდა მას.

ივანესთვის ოცნებაში მის მეგობარს უკითხავს, დაწერილი ჰქონდა თუ არა თავისი ცხოვრების ამბავი და როდესაც უარი მიუღია, ურჩევია, დაეტოვებინა მთამომავლობისათვის ბიოგრაფია — „კარგია დასწერო, სიკვდილი-სიცოცხლეა, დაშთების მომავალ თაობასა, ვინ იცის, როგორ გამოადგეს“. მართალია, ავტორი არ გვეუბნება, ვინ იყო ის კეთილი მრჩეველი, მაგრამ ჰქვიანი კაცი წამდვილად ყოფილა, რადგან უკვე 1891 წლისათვის დაუნახავს მნიშვნელოვანწილად ივ. გვარამაძის პიროვნება, მისი როლი საზოგადოებაში. მართლაც, ბევრი რამის სწავლა შეუძლია მომავალ თაობას ივ. გვარამაძის ცხოვრებიდან.

ეს იყო გამომამუშავებელი რჩევა. მრავალჭირნახულმა ადამიანმა ნახა, რომ სამშობლოსათვის და რწმენისათვის ბრძოლის გზაზე 60 წლისა ბერიკაცს უამსგავსებოდა. თმაწვერგათეთრებულს, შუბლდანაოჭებულს კისერი მხრებში ჩარგოდა და ბეჭებშიც მოხრა დასწყებოდა. მიუხედავად ამისა, თვალს არ აკლდა, ქარმაგი იყო და ფიზიკურად ძლიერი, ამიტომ გადაწყვიტა, გავლილი გზა კარგად გაეანალიზებინა და ჩვენთვის მოეთხრო.

„კარგი ის იქნება, კაცმან თავის სოცოცხლის მსვლელობა ყმაწვილკაცობითგანვე სწეროს დღიურად“ — წერს ივანე, რომ გაუადვილდეს შემდეგ განვლილი ცხოვრების გახსენება და შეფასება. სამწუხაროდ, მას დღიური არ უწერია, მაგრამ ჰქონდა კარგი მეხსიერება და საკმაოდ დეტალურად აღადგენს ბავშვობისა და კაცობის წლებს. ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდა, ის ხომ მოწოდებით ისტორიკოსი, ფილოლოგი და საერთოდ შემოქმედი კაცი იყო. „შუა კაცობა გამივლია, მომკლებია ძალა, ღონე, ხალისი, რას მოვიგონებ ჩემს მთელ გავლილ სიცოცხლის გზა-კვალსა“ — წერს იგი, მაგრამ, როგორც თავადვე იტყოდა, „ინადიანი“, ჭიუტი და პრინციპული გახლდათ, ამიტომ გადაწყვიტა დაეტოვებინა ჩვენთვის თავისი ბიოგრაფია. გადადება აღარ ღირდა, ისედაც დიდი დრო ჰქონდა დაკარგული. „გუშინწინდელ ოქროს გუშინდელი ვერცხლი ჭობია, გუშინდელ ვერცხლს დღევანდელი — სპილენძი,“ — დარდობს სპილენძისამარა დარჩენილი ივანე და იწყებს ბიოგრაფიის წერას. გამუდმებით თავის ქვეყანაზე, ხალხზე მოფიქრალი ადამიანი, მომავალ თაობაზე, ჩვენზე ზრუნავს: „წინა კაცი ვიწრო გზითგან რომ დაიბნეს, ან კლდითგან რომ გარდიჩებოს, ან ტალახისაგან რომ წაიჭყეს და გაისვაროს და ანუ უფრო წყალში რომ დაიხრჩოს, ხომ უკანა კაცისათვის გასაფრთხილებელია მისი მარცხი და დაღუპვა? ჩემი შრომის მნიშვნელობაც ეს გახლავთ ამ ადგილას. მე

შეეცდი, მე დავიბენი, მე დავაშავე ბევრგან, ჩემს სიცოცხლეში ესეც კმარა საწინააღმდეგო კაცობრიობისა და ქვეყნისათვის, სხვანი გაფრთხილდნენ, ნულარ შესცდებიან".

ივანე გვარამაძე იყო ერთი ახალციხელი „გლახაკი კაცის შვილი“. თავისი წინაპრების შესახებ ავტორს ძირითადად ტექსტში ჩაუმატებია: „მართალია ჩვენი წინაპარნი აწყვერის ბატონები ყოფილან, ცხრა ციხე მათ მმართველობის ქვეშ ყოფილან და მრავალი მამულები გვქონია, მაგრამ მაჰმადიანობის მიუღებლობისათვის ჩამოურთმევიათ ყოფილი მფლობელობა. **ზოზოშვილს** გვიძახიან ჩვენი წინაპრის სახელობაზედ. 1569-1572 ასე წინ თუ უკან მარტში აწყვერს ორი ფაშა აზრუმისა და ტრაპიზონისა, რომ რათ ინახამ ათაბეგ ყვარყვარესაო. მას ბრძოლის დროს აზრუმის ფაშა მოუკლამს და მით გაქცეულან ოსმალოები. მერმე ხომ ქალიმანჯ აფენდის აუყრივართ აწყურითგან და მოვსულვართ ახალციხეს. ჩვენი განაყრებიც ხიზაბავრას ასულან ჩვენს მამულში“.

ცხრა ციხის პატრონთ შთამომავალი ივანეს მამა იყო მეწვრილმანე, იცოდა ქსლის ბეჭვა და მექუდებობა. გვარამაძეთა გვარში შემოსულია შტოგვარი **ზოზოშვილი**, „წინაპრის სახელობაზედ“. ამ გვართ მოდიან გვარამაძეები „რუსობამდე“. მათი წინაპრის **ზაზასთვის** მაჰმადიანებს ზოზო (ძლიერი) შეურქმევიათ (ნ. ყრუაშვილი, 2002, გვ. 41).

„**ზოზოშვილებსაც** გვიძახდნენ ჩვენი წინაპარი ზაზა გვარამაძისგან“ (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 18). ზოზოშვილობით უფრო იცნობდნენ ბავშვობაში ივანეს, ვიდრე გვარამაძეობით. ახალციხეში შაჰყულიანთან სწავლისას კონფლიქტი მოუვიდა თანატოლებთან. ერთი მათგანი წააქცია და თავი დაარტყმევინა. ბიჭის დედა წივილ-კივილით მოვარდა: „იმ ტროკა ზოზოშვილს ჩემი შვილისთვის თავი გაუჩხიო“ (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 108).

ივანე გვარამაძე ზოზოს ცხოვრებას ვარაუდობს XIV საუკუნეში. ზოზო/ზოზოშვილობის საკითხს შეეხო მ. მიჩიტაშვილი: „იმ დროს (XIV ს-ში - მ.მ) უცხოვრია გვარამაძის ძეთა ერთ-ერთ განაყოფს - **ზოზოს** და მის მემკვიდრეებს, **ზოზოშვილებს**, რომლებსაც სჭერიათ მრავალი სოფლების ზოგან აგარა, ზოგან ყანა, ქალა. ზოგან საფიჩხე, ზოგან ბაღები, წისქვილები, ზოგან საბალახო, სათიბი და მთები საკუთრებად...“ მ. მიჩიტაშვილი ივ. გვარამაძის შრომებზე დაყრდნობით მიუთითებს აწყურში **ზოზოს დარბაზს**, **ზოზოშვილების სახლებს**, **ზოზოთეულ ციხეს**, **ზოზოშვილების ბაღ-ვენახებს** (მ. მიჩიტაშვილი, 1995, გვ. 17). ვინც არ გამაჰმადიანებულა, ან ამოწყვეტილა, ან გაფანტულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „რაც შეეხება განთქმული **ზოზოს** შთამომავალთ, ისინი გაგლახაკებულან, გაღარიბებულან და ჭერ მაჰმადიანთა, მერე ახალ ხანაში მომრავლებულ სომეხთა დევნა რომ აეცდინათ, მათს სომხურ და ლათინურ ტიპიკონზეც დაწერილან, ანუ გასომხებულან და გაფრანგებულან, სარწმუნოებით გრიგორიანელებად და კათოლიკეებად ქცეულან, თუმცა ქართული ენა და ქართული წეს-ჩვეულებანი შეუნარჩუნებიათ. ეს მომხდარა 1625-1636 წლებში (მ. მიჩიტაშვილი, 1995, გვ. 18).

სხვაგვარად უყურებს **ზოზოშვილების** პრობლემას შ. ლომსაძე. მისი აზრით, გვარამაძეთა ამ შტოსათვის **ზოზოშვილის** გვარის მიღება XVIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო და მას ეროვნულ-რელიგიური საფუძველი ჰქონდა: „გვარამაძის როგორც გვარის შეცვლის მცდელობა კათოლიკე მამებს აღრეც ჰქონიათ XVIII ს-ში, ჭერ კიდევ მათი აწყვერში ცხოვრების დროს და ვინმე

ზოზო გვარამაძის სახელის მიხედვით ცდილან გვარამაძენი აღერიცხათ **ზოზოშვილებად** და ხელოვნურად შემოღებული შტო-გვარის შეწყვილებით დაელოთ უარყოთ გვარამაძეობა, როგორც „მართლმადიდებლური ქართულის მკვლევარი“ (შ. ლომსაძე, 1995, გვ. 41).

მართლაც, გადაჭარბებული უნდა იყოს, მე-18 საუკუნეზე ადრე რომ დაეარაოდოთ ზოზოს ცხოვრება, რადგან შეუძლებელი იქნებოდა წინა გვარის (გვარამაძის) ხსოვნა შთამომავლობისათვის.

კიდევ ერთ შტოს დაუდო გვარამაძეთა გვარმა სათავე. ეს არის **იანულოვი**. ცნობილი ექიმი და პოეტი, ვალის მკვიდრი, ბატონი შალვა მანუშვილი წერს: „ივანე გვარამაძის ახლო ნათესავები ვალეში „იანულოვის“ გვარით ცხოვრობდნენ. იანულოვი თურქულად „დამწვარს“ ნიშნავს. ამჟამად **იანულოვებმა** აღიდგინეს თავიანთი გვარი „გვარამაძე“ და ვალეში დღესად ცხოვრობს ერთი ივანე გვარამაძე (შ. ფოცხოვისპირელი, 2002, გვ. III).

ეს გვარი მეტგვარიდან მოდის და მას კონკრეტული ფაქტი უნდა ედოს დაეუძღვად. ცნობილია ვინმე მესხის მამის სიღარიბის ამბავი, რასაც დაერთო სახლ-კარის ორგზის დაწვა, რის შესახებაც თავად ივანე წერს: „სიგლახაკის მხუზი გახლდათ, მამაჩემს ორი პირი ცოლშვილი გამოეცვალა, თავისი ვაჟაკობის ღირს მონაგები ყველა ახალციხის აკლესია-აოხრებისა რუსისგან და შემდგომ მტარლებისგან სრულ გამოსცლოდა ხელითგან. **ორი პირი სახლ-კარი დახწოდა** (1828-1829 წლებში) და ცარიელ-ტარიელა კაცს მესამე ცოლად დაეუღაჩემი შეერთო ვალეს, დედაჩემსაც პირველი ქმარ-შვილი ასწყვეტოდა და მეორე მამაჩემი იყო“ (ივ. გვარამაძე, 1891 გვ. 5). სახლკარდამწვარი ახალციხელი მამის ვალეში და ზედსიძედ შედის „ზაქარათ ბაღდასარას ძის გასპარას სახლში“ (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 6), მას არქმევენ მეტსახელს **იანუდას** (დამწვარა), ხდებიან ისინი იანუღაანნი (დამწვარაანნი), ხოლო შთამომავლები მათიან **იანუღათები** და **იანუღოვები**.

თურქული სახელის ქართველი კაცისათვის დარქმევა და ამის ნიადაგზე შემდეგ გვარის ჩამოყალიბება საყოველთაოდ ცნობილია. ეს იყო ოსმალეთთან მეზობლობის და ისტორიული ურთიერთობების შედეგი. არაქართული გვარსახელების ჩამოყალიბების ამ გზას მხარში ამოუდგა სხვა ფორმა, როდესაც ქართული სახელის მატარებელ ქართველი კაცს შეგნებულად უცვლიდნენ სახელს და მას, როგორც გრიგორიანელს ან კათოლიკეს, სომხური ან იტალიური ტიპიკონის მიმდევარს, სომხურ სახელს არქმევენ. ივანე გვარამაძის მამას ურქვა პავლე, მაგრამ, რადგან იგი კათოლიკე იყო, ოფიციალურად იწოდებოდა პოლოსად, ისევე როგორც **პავლე შაჰყულიანი (ქილიმუზაშვილი)** იყო პოლოს შაჰყულიანი. შ. ლომსაძის აზრით, დგებოდა შემდეგი საშიშროება: ვიდრე პოლოსა იწოდებოდა გვარამაძედ, გვარისა და ეროვნების საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ „მისი სახელი „პოლოს“ მეორე ეტაპზე შეიძლება მისი გვარის გაქრობის მიზეზად იქცეს და უყურადღებობის შემთხვევაში თუ ამ პოლოსას შვილს დაერქმეოდა, ვთქვათ, „მინასა“, მოსალოდნელი იყო, რომ ამ მინასას შვილს გვარად მისცემოდა „პოლოსიანი“, რაც ჩვეულებრივად ხდებოდა **ბოლმე**“ (შ. ლომსაძე, 1995, გვ. 41). ასეთ დროს ვღებულობდით **პოლოს მინასიანს**, როგორც ეს მოხდა **იანუღოვის** შემთხვევაში, ოღონდ აქ თურქული ფუძე იქნა გამოყენებული და გაბუნდოვანდა ქართული წარმომავლობა რუსული **-ოვ** სუფიქსის დართვით. ქართული გვარების დაკარგვის ეს ორი გზა გაჰყვა მთელ მე-19 საუკუნეს და მე-20-შიც გადმოვიდა.

ბრძოლა ქართული გვარების წინააღმდეგ იყო ბრძოლა ქართველობის წინააღმდეგ.

სხვაგვარად იქცევიან ოსმალები, თუმცა პრინციპი იგივეა. ოსმალთა მმართველობის დროს ეკონომიკურ საფუძველზე დაყრდნობით და ზეწოლით ხდებოდა ქართველთათვის სარწმუნოების შეცვლა, თან უცვლიან მას სახელს. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში არის ერთი დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ „მუსხიდან გათათრდნენ **თომანთ თორმანი, სიმონ მაისურაძეს დაარქვეს უხეინაი, ხოლო ქურდაძეს — სვილეიმანაი, ისიდორ ქურდაძეს — ალიაი, ქიტე ქურდაძეს — იბოი**“. თავდაპირველად ორივე სახელს ატარებდა გამაჰმადიანებული მესხი — ქართულსაც და თურქულსაც. გვარს არ ეხებოდნენ, რადგან მარკირების პრინციპი ირღვეოდა. ქართული გვარის სისტემა განსხვავდება ოსმალურისაგან. მამაშვილობაზე დაყრდნობილი ოსმალური გვარი შეიძლება შექმნილიყო სახელშეცვლილთა შთამომავლებისათვის უსეინას შთამომავალი იქცეოდა **უხეინოდლად**, ალიასი — **ალიოდლად** და ა.შ.

ასეთი გვარის მიზანი და პრინციპი იყო არა მხოლოდ გვარის გაბუნდოვნება არამედ ქართული ეროვნების საბოლოო დაკარგვა.

გვართა ასეთ ჭიდილს მოუსწრო მე-19 საუკუნეში რუსეთის შემოსვლან მესხეთში და პროცესმა მიიღო უნიფიცირების ხასიათი. კერძოდ, რუსული ადმინისტრაციისათვის უფრო მისაღები იყო -ოვ-ზე დაბოლოებული გვარები და ქართულ-სომხურ-თურქული დაბოლოებანი შეცვალა რუსულმა დაბოლოებამ ოდონდ ეს ძირითადად ხდებოდა ოფიციალურ სახელმწიფო დონეზე, ხალხი ისევ ძველი გვარით მოიხსენიებდა თავის ნაცნობებსა თუ ნათესავებს.

ივანეს შქონდა ბავშობაში მეტსახელი **კონა**, რომლის შესახებაც წერდა „სადაც ყმაწვილოსან დედებს დავინახემდი ერთად თავმოყრილ მჯდართა, ხან ერთს უვარდებოდი კალთაში, ხან მეორეს და ხან მესამეს. სახელად იოანე მერქვა, მაგრამ დედაჩემს **კონა** დაერქმია ჩემთვის, მის გამო, ვინც ამიყვანდა ხელში, ეს **ვარდის კონააო**, იტყოდა და მიმიკრემდა გულში“ (ივ. გვარამაძე 1891, გვ. 9-10). კონა გავრცელებული სახელიც იყო მესხეთში და მეტსახელიც მისგან არის მიღებული გვარი **კონაშვილი**. ეს მეტსახელი დიდობაში არ გააყოლია ივანეს და არც მის შთამომავლებს ხვდათ წილად ამ სახელის მემკვიდრეობა. მესხეთში **კონაანნი** მეტგვარად გვხვდება.

შ. ლომსაძე ივ. გვარამაძის შესახებ წერს: „ივ. გვარამაძე მიხვდა, რომ ძველი ქართული გვარ-სახელების ახლებური წარმოებისას სახე ეცვლებოდა არა მარტო გვართა მაწარმოებელ სუფიქსებს, არამედ მთლიანად ფუძესაც ქართულ-კათოლიკური კონდაკის (რიტის) არ არსებობის გამო გვარის დაცვის საკითხი გართულებული იყო“ (შ. ლომსაძე, 1995, გვ. 40).

თვითონ ივანემ საკუთარ თავზე გამოცადა გვართან დაკავშირებულ პრობლემები. ჩვენ ვნახეთ **ზოზოშვილად** რომ იწოდებოდნენ გვარამაძეებ და ივანეს დასჭირდა თავისი გვარის ჭერ დადასტურება და მერე აღდგენა ესეც არ აკმარა ცხოვრებამ. ივანეს ოფიციალური გვარი იყო **მესარკოვი** და ეს მოხდა სრულიად შემთხვევით. ბრძოლის დროს პავლე, ივანეს მამა, უნდ დაეჭილდობინათ. **ბებუთოვმა** ტემლაკზედ წარდგენის დროს მისი ვინაობა ჰკითხა მის მოძმეს ქუთაისელ **ანტონ მესარკოვს** და მანაც მოახსენა ჩემ ძმა არისო და **მესარკოვად** ჩასწერა. ამით დარჩა ჩვენი წოდებაც **მესარკოვი** (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 34).

პავლეს, რომელიც იყო გვარამაძე-ზოზოშვილი, ჰყავდა დედის მხრიდან მამულიანი ძმა **ანტონი**, აი ამ ნახევარძმის გვარი მისცეს პავლეს, რომელმაც ეს გვარი მიიღო ეს გვარი, არამედ ცოლ-შვილიც ამ გვარზე დაწერა (შ. ლომსაძე, 1995, გვ. 12). დღევანდელი გადასახედიდან ძნელი გასაგებია ასეთი ცვლილება. როგორი საცოდავი ჩანს პავლე, რომელმაც თავისი გვარი არ შეცვალა! ალბათ, აქ იმდენად არცოდნასთან არა გვაქვს საქმე, რამდენადაც ვინმეს სოციალური ფუნქციის გაუფასურებასთან ქართულ ეროვნულ კონსტიტუციის, ჯერ თურქობის დროს და შემდეგ რუსთა ბატონობისას.

ივ. გვარამაძემ მღვდლობა **მესარკოვის** გვარით მიიღო 1868 წელს. იგი, როგორც განათლებული კაცი, ისტორიკოსი, ფილოლოგი ვერ შეეგუებოდა **მესარკოვად** ცხოვრებას. იცოდა, რომ **ზოზოშვილიც** შეძენილი გვარი იყო, ამიტომ იბრძოდა გვარამაძეობის აღსადგენად. იგი, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწე, წერდა გვარამაძის გვარით და "ვინმე მესხის" ფსევდონიმით, ამიტომ, "რახან მღვდლის მოწმობა **მესარკოვის** გვარით ჰქონდა მიღებული, ბოლო საეკლესიო მსახური უჩიოდა, **მღვდლობის გვარს უარყოფს და ვინმე მესხის**" ფსევდონიმით აქვეყნებს წერილებსო" (შ. ლომსაძე, 1995, გვ. 41-42). ეს უკვე სხვა სახის ბრალდება იყო, ამიტომ ყველაფერი გააკეთა ივანემ აღმოჩინოს, რომ გვარამაძეობა დაემტკიცებინა. ისტორიული და სხვა სახის დამადასტურებელი საბუთების საშუალებით თავისი გვარი დაიბრუნა 1885 წელს.

მესარკოვი ხელობის აღმნიშვნელი ტერმინიდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ. მართლაც სახელი გამჭვირვალეა და მესარკიდან მოდის, მე — ე მნიშვნელობებით არის მიღებული. ოღონდ სარკის კეთებასთან არ არის დაკავშირებული და ამის ტრადიცია არც ჩანს მესხეთში. ივ. გვარამაძე თავის ლექსიკონში **მესარკეს** განმარტავს, როგორც — **სარკეების გამყიდველი** (ივ. გვარამაძე, 1907, გვ. 141).

ასევე ხელობის აღმნიშვნელი ტერმინიდან მოდის ძველი ახალციხური გვარი **მეწყარიშვილი**. ამ გვარის მაჰმადიანი ოჯახი ცხოვრობდა ახალციხის მთის სოფელ **ბოგაში**.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ერთი ჩანაწერის მიხედვით, რომელიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შეუქმნია **ი. პაპისიმღვოს** (ბელნაწერი №1082, გვ. 39), ვგებულობთ, რომ მეწყარიძე მეწყალიძიდან, ე. ი. წყლის გამყვანის მოხელეიდან უნდა მოდიოდეს, რომელსაც თიხის მილებით **ჭვინტის** ტყიდან ახალციხის რაბათში ჩაუყვანია წყალი. წყლით მომარაგების ერთ-ერთი სპეციალისტი, რომელმაც დატოვა ახალციხე 1828 წლის ომის შემდეგ და წავიდა **ბოგაში**, სათავეს უდებს ახალ გვარს — **მეწყარიძეს**. (შ. ბერიძე, 2006, გვ. 53).

მართლაც, თითქოს არაფერი უშლის ხელს, რომ **მეწყარიძე** და **მეწყალიძე** დაუწყავშიროთ ერთმანეთს, ე. ი. იყო ხელობის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელმაც დაუდო გვარს სათავე, მაგრამ აქ **მეწყალე** არაფერ შუაშია, ტერმინი იყო **მეწყარე**, რომელსაც თავის ლექსიკონში ივ. გვარამაძე ასე განმარტავს: "**წყაროს მომყვანი, ზედამხედველი, გამგე**" (ივ. გვარამაძე, 1907, გვ. 147), ხოლო **მეწყალე** არის "**წყლის მზიდავი**". ხელობის აღმნიშვნელი ტერმინით კიდევ ერთი გვარი გვხვდება ვინმე მესხის ცხოვრებაში. ეს გვარი ცნობილია მე-19 საუკუნის საქართველოში.

შ. ლომსაძემ შეისწავლა **ხარისჭირაშვილების** გვარი და ის ხელობის აღმნიშვნელ გვარსახელად მიიჩნია, ნამდვილი გვარი კი არ ვიცით. **ხარისჭირაშვილების** წინაპრები ჯავახეთის სოფელ კოთელიდან ყოფილან, რომლებიც XVIII საუკუნის შუა წლებში ლეკიანობას გამოექცნენ ჯავახეთიდან და მართმადიდებლებად ჩამოვიდნენ ახალციხეში, სადაც მიიღეს კათოლიკობა (შ. ლომსაძე, 1995, გვ. 31).

ივ. გვარამაძე წერს: "წამიყვანეს და ადგილობრივ მღვდელს მიმაბარეს საკითხავად ოთხი წლისა. მღვდელი იყო **ხარისჭიროთ** პავლე, თვალეზმტკივანი, წიგნის კითხვა მეტად სწყენდა თვალეზზედ. გულკეთილი კაცი იყო, ერთგული ერისა, მართალი" (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 22). **პავლე ხარისჭირაშვილი** ვალის სოფლის მღვდელი ივანეს ნათლიაც იყო (შ. ლომსაძე, 1995, გვ. 13).

პავლე ხარისჭირაშვილთან სწავლის დროსვე მოუწია მისივე მოგვარესთან სრულიად ბავშვს შეხება, კერძოდ, პატარა ივანე წარმატებული მოწაფე აღმოჩნდა და მალევე მისცეს წასაკითხად კათეხიზმო "დაწერილი **ხარისჭიროთ ლუკასვან**, რომ მღვდლად კურთხევისა შემდგომ **პეტრე** დაირქვა სახელად" (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 23).

ეს ის **პეტრე ხარისჭირაშვილია**, რომელსაც ჯერ ქუთაისში ჩააკითხა და სწავლობდა მასთან ივ. გვარამაძე 1854 წელს და შემდეგ სტამბოლში — 1859 წელს.

ბავშვობის წლების მოგონებისას ორივე **ხარისჭირაშვილს ხარისჭიროთ** ფორმით მოიხსენიებს, მაგრამ ოფიციალურად, თანამდებობაზე მყოფის შესახებ ამბობს ივანე: "ქუთაისს წავალ, მივმართამ უ. მამა **პეტრე ხარისჩაროვსა**, ვკონებ მიმიღოს და საკმაო სწავლაც მომცეს" (ივ. გვარამაძე, 1892, გვ. 145).

ქუთაისში ჩასული ივანე კათოლიკურ ეკლესიაში შეხვდა **დონ ანტონ გლახაშვილს**, რომელმაც მიასწავლა მას "მამა **პეტრე ხარისჭირაშვილის** სადგომი. რიონის ნაპირას ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით ფიცრული სახლი იყო ორსართულიანი..." (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 147).

სახელი აშკარად კომპოზიტური წარმომავლობისაა: **ხარისჭირა — ხარისმჭერა — ხარისმჭერი**. თავდაპირველად მეტსახელია და იგი დაედო საფუძვლად მეტგვარსა თუ გვარს. რაც შეეხება სამ ვარიანტს (**ხარისჭიროთი, ხარისჭირაშვილი, ხარისჩაროვი**) მათი აქტიური მოხმარება მიუთითებს იმაზე, რომ გვარად ჩამოყალიბების პროცესი თურქულის გავლენით შენელებულია, ამიტომ სამივე ფორმა იტოვებს არსებობის უფლებას.

ვღებავ ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობა დღეს არის **მღებავი**. მე-19 საუკუნის საქართველოში, კერძოდ, მესხეთში იყო **მღებარი**. ივ. გვარამაძესთან ვკითხულობთ: "შე კარგად ვიცნობდი ფალოშათ ივანეს და მის შვილს იოსებს და ისინიც მიცნობდნენ. ვიცოდი იოსების დედაც **მღებარი** ივანეს ქალი იყო" (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 221).

ივანეს ცოლის შერთვის საკითხი სადაო გახდა. გადამწყვეტი სიტყვა სასიდედრომ თქვა: "შე მამაჩემს ბ. ივანე **მღებარს** ვემორჩილებიო. მე ამის მეტს არავის მიჩივს. მეც ღმერთის ნებით მიმიცია და გამითავებია" (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 226). სიდედრის მამა არის "უფროსი სიმამრი", რომელიც ყველაზე კეთილგანწყობილი იყო ივანეს მიმართ. მან არა მარტო თანხმობა მისცა შვილიშვილზე დაქორწინებისა, არამედ კრიტიკულ მომენტში ხელიც გაუშარტა. ივ. გვარამაძე წერს: ვალის ასაღებად "მივმართე ვალეს, არალს უღეს მღვდლებსა, ყველამ გაიწყვიტა, როგორც შევხედე, შურისგან კვდებოდნენ

და რა ხელს გამიმართავდნენ მე ისინი? ბოლოს ჩემთან უფროსმან სიმამრმან მ. ივ. მღებარმან მომცა 10 თუმანი" (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 245).

ივანეს უფროს სიმამრს (სიღედრის მამას) მღებარი ქცევია მეტგვარად მეტგვარად არა, რასაც გვაფიქრებინებს შემდეგი ადგილი: "1869 ახალ წელიწად ჰქონდა ვლადიკავკაზს ვიყავით. იქ დაგვხვდა მღებაროვის სიძე ბ. სარქის - რთაჯოვი, ჩემი მოკეთე" (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 263). მღებაროვის მოკეთეობა სიღედრის მხრიდან იგულისხმება. მისი სიღედრი მღებარის შვილია, მათი სიძე კი - რთაჯოვი. "თბილისშივე მივაცემინე ჩემი კერძი მ მანეთი ბ. კარლო მღებაროვს" (ივ. გვარამაძე, 1891, გვ. 273), ეს არის ბოლო მღებარი ი. გვარამაძის "ცხოვრებაში".

აღნიშნული ტერმინიდან — მღებარი მივიღეთ გვარი მღებარიშვილი, რომელმაც რუსული დაბოლოებით მოგვცა მღებაროვი. აგვისტინე კარლოვიჩი მღებაროვი, რომელიც იყო ივანეს ცოლის ფალოშათ ივანეს ასულ ანანოს შიშოვის წიგნის შემდგენი, წერს: დამწერავიც მე ვარ და მეჭვარეცო (შ. ლომსაძე, 1995წ. გვ. 35).

მღებარი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ თავისი შინაარსით იგი არის ვლენავ ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობა. შინაარსობრივად მართლაც ასე უნდა იყოს და უნდა ნიშნავდეს მღებავს, კაცს, რომელიც ღებავს. განსხვავებული განმარტება აქვს მღებარისა ივ. გვარამაძეს თავის განმარტებით ლექსიკონში: მღებარი, მღებავი — სამღებროს მქონე (ივ. გვარამაძე, 1907, გვ. 188).

საინტერესოა, რომ მღებარი გვარად თუ მეტგვარად გაფორმებისას გვარის მაწარმოებელ რომელიმე სუფიქსს არ იყენებს. როგორც ჩანს, მღებარი მაწარმოებლის გარეშე არსებობდა, რადგან მესხეთში ცოცხალი იყო -არ სუფიქსი, რომელიც წარმომავლობის სუფიქსად იხმარებოდა: ლობიარი, ოთარი, ზერთვისარი და სხვა.

მოგვიანებით მღებარი მღებარიშვილად იქცა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსული დაბოლოება დაერთვის მღებარს და ვლენავობთ მღებაროვს, ხოლო მღებარიშვილი გვადღევს მღებაროვს.

ხელობის აღმნიშვნელ გვართაგან მესარკიშვილი და მღებარიშვილი მითითებული აქვს ზ. ჭუმბურიძეს; მას, მჭედლიშვილის გარდა, ჩამოთვლილი აქვს "სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარები: დალაქიშვილი, ღურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი, ხუროშვილი, ხუროძე და სხვა". ამასთანავე, "საყურადღებოა, რომ ხელობისა და თანამღებობის აღმნიშვნელი ტერმინები ხშირად გვხვდება გვარებად წმინდა ფუძის სახით (გვარის მაწარმოებელი აფიქსების, ან -ძე და -შვილ დაბოლოებათა გარეშე)" (ზ. ჭუმბურიძე, 2003, გვ. 89). ჩამოთვლილთა შორის ზ. ჭუმბურიძე ასახელებს მხატვარს. როგორც უკვე ითქვა, მღებარი სწორედ ამ ტიპისაა.

"მრავალ ქართულ გვარს წოდება-თანამღებობის და პროფესია-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინები უღევს საფუძვლად. ხშირ შემთხვევაში ეს ტერმინები არაქართული იყო, აღმოსავლეთ მეზობელთაგან ჩვენში შემოსულ-დამკვიდრებული... ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენში ამ გვართა ფუძეების ტერმინებია შემოსული. გვარსახელები კი უშუალოდ ჩვენს ქართულ სინამდვილეშია წარმოქმნილი" (რ. თოფჩიშვილი, 2003, გვ. 6). ხელობის

აღმნიშვნელი გვარების ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გარკვეულწილად არაქართულენოვან გარემოსთან იყო დაკავშირებული.

საინტერესო მოსაზრებას აყენებს ამ მხრივ შ. ლომსაძე. მისი აზრით: "რადგან გაკათოლიკებული ქართველები ჩვეულებრივად მიწერილი იყვნენ ლათინურ ან სომხურენოვან კონდაკის მქონე ეკლესიებს, სადაც სომეხ და ლათინ სასულიერო პირებს თავიანთი კონდაკების კვალობაზე სასურველ შესაბამისობაში მიჰყავდათ ქართულ გვარ-სახელთა ახლებური წარმოება, **იწარმოებოდა იგი ძირითადი საქმიანობის (ხელობის) ან საკუთარი სახელის მიხედვით, რომელიც მთლიანად ტიპიკონის კვალობაზე იყო გაწყობილი** და საიდანაც შემდეგ უცნაურ შტოგვარებად ყალიბდებოდა" (შ. ლომსაძე, 1995, გვ. 40-41).

გვართა ვარიანტულობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით. ერთ-ერთი მათგანია ხელობის აღმნიშვნელი გვარები, რომლებიც ცვლიან არსებულ ტრადიციულ ქართულ გვარებს.

გვარამაძეთა გვარის ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, რომ გვართა ვარიანტულობის მთავარი მიზეზი ტრადიციული ქართული გვარების უარყოფაა. ეს უარყოფა დაიწყო ჯერ ოსმალეთმა და გააგრძელა რუსულმა მმართველობამ. იქმნებოდა ახალი მეტსახელიდან მიღებული გვარები (ზოზოშვილი), ან ეძლეოდათ ხელობის აღმნიშვნელი ტერმინებიდან შექმნილი რუსულ-ქართულდაბოლოებიანი სხვა გვარები.

ვარიანტულობის უმთავრესი სათავე მაინც ქართული დაბოლოებების: -თ, -ძე, -შვილი და რუსული -ოვ-ის ჭიდილი იყო.

ლიტერატურა

მ. ბერიძე, 2006 - მ. ბერიძე, ქართველთა გამუსლიმება და გვარის შეცვლა მესხეთში, 2006.

ივ. გვარამაძე, 1891 - ივ. გვარამაძე, ვინმე მესხის ცხოვრება, 1891.

ივ. გვარამაძე, 1907 - ივ. გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე, 1907, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი №52.

რ. თოფჩიშვილი, 2003 - რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 2003.

შ. ლომსაძე, 1995 - შ. ლომსაძე, მესხები, ახალციხური ქრონიკები, II 1995.

მ. მიჩიტაშვილი, 1995 - მ. მიჩიტაშვილი, ივ. გვარამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულებანი, 1995.

შ. ფოცხოვისპირელი, 2002 - შ. ფოცხოვისპირელი, ვინმე მესხი-ივანე გვარამაძე: კრებული „ობიზარი“, II, 2002.

ნ. ყრუაშვილი, 2002 - ნ. ყრუაშვილი, სადისერტაციო ნაშრომი, 2002.

ზ. ჭუმბურიძე, 2003 - ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 2003.

MERAB BERIDZE**VARIANTS OF FAMILY NAMES IN THE 19TH
CENTURY MESKHETI**

Having different variants of one and the same family names in the 19th c. Meskheta was conditioned by rejecting traditional family names triggered first in the period of spreading Ottoman rules in Meskheta and continued when the region fell under Russian's rule.

The war against traditional Georgian family-names meant the war against Georgian ethnicity. The Ottoman Turkey demanded from Georgians not only converting to the Moslem Faith but also changing their family names at the beginning those meskhians who converted to the Moslem faith bore both Georgian and Turkish first names and family-names were left intact, as it would breach the principle of marking. Georgian family names had different systems from the Turkish one, as the latter is based on the patrimonial principle. So the new family-names should depend on the altered first names (e.g. first name Useina>Usein oğli).

In the 19th century the Georgian-Armenian-Turkish family name endings were substituted by Russian endings, but this took place only on the formal level while in informal personal relationship people referred their friends and relatives with their original names.